თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №2

(დ. აღმაშენებლის ქუჩის მრავალბინიანი საცხ. სახლების რეაბილიტაციის (ფასადების შეფუთვა და მანსარდის მოწყობა) საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა)

თვითმმართველი ქალაქ ფოთი 23 . 05 2013 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ვასილ თოდუა - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე;
2. ლევან სახოკია - თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე საბიუჯეტო და დარგობრივი ეკონომიკის საკითხებში, კომისიის წევრი;
3. ილარიონ მელქაძე - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;
4. ნუგზარ ტუღუში - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;
5. თემურ თოფურია - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;
6. თამთა დაგარგულია - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;
7. გიაზი დანელია - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

საკონკურსო კომისიის წევრები ვადასტურებთ, რომ თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) მიერ, დ. აღმაშენებლის ქუჩის მრავალბინიანი საცხ. სახლების რეაბილიტაციის (ფასადების შეფუთვა და მანსარდის მოწყობა) საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო განცხადება №753,30.04.2013წ.) ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ტენდერში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დღის წესრიგი:

1. საპროექტო მომსახურების, კერძოდ: დ. აღმაშენებლის ქუჩის მრავალბინიანი საცხ. სახლების რეაბილიტაციის (ფასადების შეფუთვა და მანსარდის მოწყობა) საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შემდგომში ტექსტში ,,საპროექტო მომსახურება") შესყიდვასთან დაკავშირებით (საკონკურსო განცხადება №753,30.04.2013წ.), კონკურსანტების შპს ,,აბრისი 2006"-სა და შპს ,,SPACE"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ.

მოისმინეს: ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საპროექტო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით, შემსყიდველი ორგანიზაციის საკონკურსო პირობებით განსაზღვრულ ვადებში

საფასური და საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა შპს ,,აბრისი 2006"-მა და შპს ,,SPACE"-მ.

განიხილეს: საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი სკონკურსო წინადადებები. განხილვის შედეგად დადგინდა:

,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს ,,SPACE"-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში არ არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი. ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. ამასთანავე, შემსყიდველი ორგანიზაციის საკონკურსო პირობების თანახმად, შპს ,,SPACE"-ს არ წარმოუდგენია:

ა) ინფორმაცია ანალოგიური საპროექტო მომსახურების, კერძოდ: სხვადასხვა ფუნქციის შენობების, ფასადების და სახურავების საპროექტო მომსახურების შესახებ, რომლის ღირებულება უნდა შეადგენს არანაკლებ 400,0 ათ. ლარს.

ბ) საკონკურსო პირობების შესაბამისად, შპს ,,SPACE"-ს უნდა წარმოედგინა დ. აღმაშენებლის ქუჩა N9,14,16,21,22,23,31,32,33,37-ში მდებარე მრავალბინიანი საცხ. სახლების ესკიზი (საპროექტო მასალა), კონკურსანტმა წარმოადგინა მხოლოდ ორი სახლის, კერძოდ: დ. აღმაშენებლის ქუჩა N14,37-ში მდებარე მრავალბინიანი საცხ. სახლების ესკიზი (საპროექტო მასალა).

შპს ,,აბრისი 2006"-ის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, გაცემულია ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დაცვით. ამასთანავე, წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და საკონკურსო წინადადების თანმხლები დოკუმენტები, აკმაყოფილებს შემსყიდველი ორგანიზაციის საკონკურსო პირობებს.

შპს ,,აბრისი 2006"-ის საკონკურსო წინადადების ფასი შეადგენს 112000 (ასთორმეტი ათასი) ლარი.

,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით და საკონკურსო პირობებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, საკონკურსო კომისიამ უნდა განახორციელოს აღნიშნული კონკურსანტის მიერ წარმოდგნული საკონკურსო წინადადებების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა.

აზრი გამოთქვეს: ვ. თოდუამ, თ. თოფურიამ, ი. მელქაძემ, ნ. ტუღუშმა, გ. დანელიამ, თ. დაგარგულიამ.

,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად,დაადგინეს:

1. განხორციელდეს საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებით (საკონკურსო განცხადება №753,30.04.2013წ.), კონკურსანტის შპს ,,SPACE"-ს დისკვალიფიკაცია.

2. კონკურსში (საკონკურსო განცხადება №753,30.04.2013წ.), გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს ,,აბრისი 2006", რომელიც დ. აღმაშენებლის ქუჩის მრავალბინიანი საცხ. სახლების რეაბილიტაციის (ფასადების შეფუთვა და მანსარდის მოწყობა) საპროექტო მომსახურებას შემსყიდველს მოაწოდებს 112000 ლარად.

3.კონკურს (საკონკურსო განცხადება №753,30.04.2013წ.) მიენიჭოს სტატუსი ,,გამარჯვებული გამოვლენილია.

4. ეცნობოს კონკურსანტებს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება და კონკურსანტი შპს ,,აბრისი 2006" არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გამოცხადდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

კომისიის თავმჯდომარე	ვასილ თოდუა
კომისიის წევრები:	ლევან სახოკია
	ილარიონ მელქაძე
	ნუგზარ ტუღუში
	თემურ თოფურია
	თამთა დაგარგულია
	გიაზი დანელია

დანართი 1

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

თვითმმართველი ქალაქ ფოთი 23. 05. 2013 წელი

საკონკურსო კომისიის წევრები ვადასტურებთ, რომ თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) მიერ, დ. აღმაშენებლის ქუჩის მრავალბინიანი საცხ. სახლების რეაბილიტაციის (ფასადების შეფუთვა და მანსარდის მოწყობა) საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო განცხადება №753,30.04.2013წ.) ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ტენდერში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

კომისიის თავმჯდომარე ვასილ თოდუა

კომისიის წევრები:

ლევან სახოკია

ილარიონ მელქაძე

ნუგზარ ტუღუში

თემურ თოფურია

თამთა დაგარგულია

გიაზი დანელია